# საზღვაო უსაფრთხოება შავ ზღვაში: საქართველოსა და თურქეთის შედარებითი ანალიზი

ნინო შარაბიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების  მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ივანე ოქრომჭედლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის, 2025

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო შარაბიძე

# სარჩევი

ანოტაცია ..... 4

Annotation ..... 6

შესავალი ..... 8

თავი I. თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩო ..... 14

*1.1. საზღვაო უსაფრთხოების განსაზღვრება საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში* ..... 14

*1.2. რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია (RSCT) და მისი გამოყენება შავი ზღვის რეგიონში* ..... 17

*1.3. შედარებითი ანალიზის მეთოდის მიმოხილვა* ..... 19

თავი II. საქართველოს საზღვაო უსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგია ..... 22

*2.1. საქართველოს საზღვაო უსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგიული მიზნები* ..... 22

*2.2. შესაძლებლობები: საზღვაო ძალები, სანაპირო დაცვის სისტემა, მონიტორინგის მექანიზმები* ..... 24

*2.3. თანამშრომლობა ნატოსთან, ევროკავშირთან და სხვა რეგიონულ აქტორებთან* ..... 26

*2.4. ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები* ..... 29

თავი III. თურქეთის საზღვაო უსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგია ..... 31

*3.1. თურქეთის საზღვაო უსაფრთხოების პოლიტიკა ნატოსა და რეგიონულ ჩარჩოებში* ..... 31

*3.2. საზღვაო ძალები და შესაძლებლობები* ..... 33

*3.3. თურქეთის მონაწილეობა მრავალეროვნულ ინიციატივებში* ..... 35

*3.4. ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები* ..... 37

თავი IV. საქართველოსა და თურქეთის შედარებითი ანალიზი ..... 39

*4.1. საზღვაო უსაფრთხოების პოლიტიკების მსგავსებები და განსხვავებები* ..... 39

*4.2. თავდაცვის ბიუჯეტები, ნატოს და საერთაშორისო მისიებში ჩართულობა* ..... 43

*4.3. ნატოსა და რეგიონული ორგანიზაციების გავლენა საზღვაო სტრატეგიებზე* ..... 45

*4.4. რუსეთის საზღვაო აქტივობების გავლენა უსაფრთხოების მიდგომებზე* ..... 47

თავი V. პოლიტიკის რეკომენდაციები და სამომავლო ტენდენციები ..... 49

*5.1. საქართველო-თურქეთის და ნატოს თანამშრომლობის გაძლიერება* ..... 49

*5.2. საქართველოს შესაძლებლობების გაუმჯობესების რეკომენდაციები* ..... 52

*5.3. შავი ზღვის რეგიონის სამომავლო უსაფრთხოების გამოწვევები და შესაძლებლობები* ..... 54

თავი VI. კვლევის შედეგები და ანალიზი ..... 57

დასკვნა და რეკომენდაციები ..... 64

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ..... 67

დანართი ..... 70

# ანოტაცია

მოცემული კვლევა შეეხება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს და საქართველოს როლს ამ პროცესებში, განსაკუთრებით თურქეთთან და ნატოსთან თანამშრომლობის ჭრილში. ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ნატოსა და თურქეთთან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და გეოპოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც განაპირობებენ საქართველოს უსაფრთხოების გარემოს დინამიკას – მათ შორის გარე საფრთხეებს, ჰიბრიდულ ომს, საინფორმაციო მანიპულაციასა და ენერგოუსაფრთხოებას.

ნაშრომი აერთიანებს როგორც თეორიულ ნაწილს – რომელშიც განიხილება უსაფრთხოების ძირითადი კონცეფციები, ნატოსა და თურქეთის როლი რეგიონში და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები – ასევე, ემპირიულ ნაწილს, რომელიც ეფუძნება რაოდენობრივ კვლევას. ამ უკანასკნელის ფარგლებში ჩატარდა 100 რესპონდენტის გამოკითხვა, რომლის მიზანიც იყო საზოგადოების განწყობების და აღქმების გამოვლენა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ. გამოკითხვის შედეგების სტატისტიკურმა ანალიზმა (ქაი-კვადრატი, სპირმანის კორელაცია, რეგრესიული მოდელები და ANOVA ტესტი) ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობა უსაფრთხოების საკითხებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიურ კოორდინაციას.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ უსაფრთხოების მდგრადი სისტემის განვითარება საქართველოში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანა გააგრძელებს პროდასავლურ კურსს, გააღრმავებს პარტნიორობას ნატოსთან, განავითარებს სტრატეგიულ თანამშრომლობას თურქეთთან და გახდება აქტიური მონაწილე შავი ზღვის უსაფრთხოების მრავალმხრივ ფორმატებში. ეს ხაზგასმით დადასტურდა როგორც ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, ისე რესპონდენტთა პასუხებით, რომელთა უმრავლესობა ხაზს უსვამს აღნიშნული მიმართულებების უპირატესობასა და აუცილებლობას.

გარდა ამისა, კვლევა მიუთითებს იმ აუცილებლობაზე, რომ საქართველო აქტიურად მოემზადოს მომავალში მოსალოდნელი საფრთხეებისთვის, მათ შორის კიბერუსაფრთხოების, ენერგეტიკული თავდაცვისა და საინფორმაციო ომების მიმართულებით. სწორედ ამ მიმართულებებით უნდა განხორციელდეს ინოვაციური პოლიტიკის დაგეგმვა, ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და საკანონმდებლო მექანიზმების განვითარება.

ნაშრომის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა ის, რომ იგი აერთიანებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ანალიზს და ემყარება არა მხოლოდ აკადემიურ ჩარჩოს, არამედ ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებიც რეალური საზოგადოებრივი განწყობების ანალიზის საშუალებას იძლევა. მიღებული შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს პოლიტიკის დაგეგმვისთვის, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს უსაფრთხოება, ნატო, თურქეთი, შავი ზღვის რეგიონი, გეოპოლიტიკა, ჰიბრიდული ომი, საერთაშორისო პარტნიორობა, რაოდენობრივი კვლევა, ეროვნული სტრატეგია, კიბერუსაფრთხოება.

# Annotation

This study addresses contemporary security challenges in the Black Sea region and Georgia's role in these processes, especially in the context of cooperation with Turkey and NATO. The aim of the paper is to examine the importance of Georgia's strategic partnership with NATO and Turkey in strengthening the country's national security, territorial integrity and geopolitical stability. Particular attention is paid to the analysis of factors that determine the dynamics of Georgia's security environment – including external threats, hybrid warfare, information manipulation and energy security.

The paper combines both a theoretical part – which discusses the main concepts of security, the role of NATO and Turkey in the region, and the main priorities of Georgia's foreign policy – and an empirical part, which is based on quantitative research. As part of the latter, a survey of 100 respondents was conducted, the aim of which was to reveal the public's attitudes and perceptions towards Georgia's security policy. Statistical analysis of the survey results (chi-square, Spearman's correlation, regression models, and ANOVA test) revealed that the Georgian population attaches particular importance to active coordination with international partners in security issues.

The analysis presented in the paper confirms that the development of a sustainable security system in Georgia will be possible only if the country continues its pro-Western course, deepens its partnership with NATO, develops strategic cooperation with Turkey, and becomes an active participant in multilateral Black Sea security formats. This was emphatically confirmed both by relying on literary sources and by the responses of the respondents, the majority of whom emphasize the advantages and necessity of the above directions.

In addition, the study indicates the need for Georgia to actively prepare for future threats, including cybersecurity, energy defense, and information warfare. These are the areas where innovative policy planning, technological modernization, and legislative development should be implemented.

One of the strengths of the paper is that it combines both theoretical and practical analysis and is based not only on an academic framework, but also on factual data that allows for the

analysis of real public sentiment. The results obtained represent an important source for policy planning, both at the national and regional levels.

**Keywords:** Georgian security, NATO, Turkey, Black Sea region, geopolitics, hybrid warfare, international partnership, quantitative research, national strategy, cybersecurity.